

FROM THE HISTORY OF STUDYING BERIKAoba-KEENOBA

ბერიკაობა-ყეენობის შესწავლის ისტორიიდან

KETEVAN BARBAKADZE

Doctor of Pedagogical Sciences,
 Associated Professor of Gori State University,
 53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
 +995577151211, qbarbakadze@gmail.com
<http://orcid.org/0000-0002-8706-2102>

TAMAR GOGOLADZE

Doctor of Philology,
 Professor of Gori State University,
 53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
 +995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

Abstract. From the public holidays, history has preserved two important spectacular holidays: Berikaoba and Keenoba. The process of studying them begins from the second half of the 19th century (G. Tsereteli, I. Grishashvili, K. Kekelidze, M. Abramishvili, S. Makalatia, V. Bardavelidze, J. Rukhadze, T. Kurdovanidze and others) and continues to this day. Berikaoba was associated with the awakening of nature and was considered the beginning of the history of Georgian theater, Keenoba is of later origin and should reflect the various vicissitudes of the fight against the enemy of Georgia. At the end of the 19th century, along with the restriction of Keenoba in the cities, the so-called “Keenoba Tail” appeared, which was reported by a correspondent of the newspaper “Kvali” (1894). By 1926, both events had almost been canceled, so the poet Ioseb Grishashvili in his letter “The Literary Bohemia of Old Tbilisi” tries to provide posterity with information about the Keenoba, the first description of which belongs to Davit Bebutashvili (1817-1827).

I. Grishashvili and subsequent researchers rely on him and mention Giorgi Tsereteli as well, but without reviewing his letters - without analyzing them. Therefore, we tried to provide a full analysis of the information of G. Tsereteli, E. Grishashvili and an unknown correspondent in this article, which, we believe, will be important for the history of studying Berikaoba-Keenoba.

Keywords: Keenoba; Berikaoba; The tail end of Keenoba; G. Tsereteli; I. Grishashvili.

ქეთევან ბარბაქაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995577251272, tamilagoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

აბსტრაქტი. სახალხო დღესასწაულებიდან ისტორიამ შემოგვინახა ორი მნიშვნელოვანი სანახაობრივი დღესასწაული: ბერიკაობა და ყეენობა. მათი შესწავლის პროცესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება (გ. წერეთელი, ი. გრიშაშვილი, კ. კეკელიძე, მ. აბრამიშვილი, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, ჯ. რუხაძე, თ. ქურდოვანიძე და სხვ.) და დღემდე გრძელდება. ბერიკაობა დაუკავშირდა ბუნების გაღვიძებასა და ჩათვლილ იქნა ქართული თეატრის ისტორიის დასაწყისად, ყეენობა უფრო გვიანდელი წარმოშობისაა და იგი უფრო საქართველოს მტერთან ბრძოლის სხვადასხვა პერიპეტიებს უნდა ასახავდეს. XIX საუკუნის ბოლოს, ყეენობის ქალაქებში შეზღუდვასთან ერთად გაჩნდა ე.წ. „ყეენობის კუდი“, რომელზეც გაზეთ „კვალის“ ერთი კორესპონდენტი (1894 წ.) იტყობინება. 1926 წლისათვის თითქმის გაუქმებული იყო ორივე სანახაობა, ამიტომ პოეტი იოსებ გრიშაშვილი თავის წერილში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ცდილობს წარსულ მასალებსა და გამოჩენილ მოგონებებზე დაყრდნობით შთამომავლობას მიაწოდოს ინფორმაცია ყეენობაზე, რომლის პირველი აღწერაც დავით ბებუთაშვილს ეკუთვნის (1817-1827 წ.).

ი. გრიშაშვილი და შემდგომი მკვლევარნი ეყრდნობიან მას და ახსენებენ გიორგი წერეთელსაც, მაგრამ მისი წერილების მიმოხილვა - ანალიზის გარეშე. ამიტომ, ვცადეთ სწორედ გ. წერეთელის, ე. გრიშაშვილისა და უცნობი კორესპონდენტის ინფორმაციის სრული ანალიზი მოგვეწოდებინა წინამდებარე სტატიაში, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება ბერიკაობა-ყეენობის შესწავლის ისტორიისათვის.

საკვანძო სიტყვები: ყეენობა; ბერიკაობა; ყეენობის კუდი; გ. წერეთელი; ი. გრიშაშვილი.

შესავალი. ზამთრის კარჩაკეტილობის შემდეგ აღდგომის წინა ყველიერი და შემდგომ დიდმარხვა ზეიმით აღინიშნებოდა საქართველოში, ამ ზეიმ-დღესასწაულს თეატრალიზებული სახე ჰქონდა, რაც ლხინ-გართობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ფოლკლორისტი თ. ქურდოვანიძე ასეთ ქართულ წეს-ჩვეულებებს ორ ციკლად ყოფს: „კალენდარულ და საოჯახო-საყოფაცხოვრებოდ“ (ქურდოვანიძე, 2012: 70), „ბერიკაობა-ყეენობა მიჩნეულია კვდომა-აღორძინების უძველესი მისტიკის გამოხატულებად“ (ქურდოვანიძე, 2012: 76). აღნიშნული სანახაობანი იმართებოდა საუკუნეების მანძილზე სოფლად თუ ქალაქად. XIX საუკუნის დასაწყისში 1817-1827 წლებში გამართული ყეენობის დღესასწაული აღწერილი აქვს დავით ბებუთაშვილს. სწორედ მას და საკუთრივ ნანახ

სანახაობას აანალიზებენ ჯერ კიდევ იმავე საუკუნეში გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე. ერთი უცნობი კორესპონდენტიც, აღწერს რა „ყეენობის კუდს“ რატომღაც აცხადებს, რომ „დიდმარხვის პირველ ორშაბათს ტფილის ქალაქი მხოლოდ იმით იყო ხოლმე გატაცებული, მით უფრო, რომ „კრივიც“ თან მოსდევდა. ეს კრივი შვენიერად აქვს აღწერილი თავადს დავით ბებუთაშვილს, დღემდის თითქმის არ არის გამოკვლეული, თუ რას ნიშნავს ეს ჩვეულება? ან როდის შემოუღიათ? ზოგი ხოჯახნობას აწერს, ზოგი შახ-აბაზს და ზოგი თამაზ-ხანს. გიორგი წერეთელი კი ამტკიცებს, რომ მურვან-ყრუს შემოსევიდან არის შემოღებულიო. როდესაც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ყეენს დასცინიან” (კვალი, #20, 1894: 7-8).

კორესპონდენტის კითხვა ეხება ყეენობას, რომლის აღწერა-განხილვაც ტფილისში წარმოდგენილია „კვალის“ 1893 წლის #6-ში გიორგი წერეთლის წერილში „ყეენობა“ (უფრო ადრე, #5-ში კი „ბერიკაობაზე“ აქვს წერილი გიორგი წერეთელს). უცნობია იცნობდა თუ არა კორესპონდენტი ამ წერილებს, მაგრამ არ მიიჩნევდა მათ საფუძვლიან გამოკვლევად. მით უმეტეს, რომ ამ ორი წერილის ავტორი საოცარი სიღრმით განიხილავს ორივე სანახაობას და ცდილობს კიდევ დაასაბუთოს საიდან მომდინარეობენ ისინი. თანამედროვე ეტაპზე ჯერ კიდევ იოსებ გრიშაშვილიდან მოყოლებული, ხშირად ახსენებენ თუ ემყარებიან გიორგი წერეთელს, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ამ ორი ხალხური დღესასწაულის შესწავლის გზაზე.

ჩვენი სტატიის მიზანია სწორედ გიორგი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილისა და უცნობი კორესპონდენტის ნააზრევის განხილვა-ანალიზი, რაც ვფიქრობთ, საყურადღებო და მნიშვნელოვანია თვით ავტორთა შეხედულებების შესახებ საჭირო დასკვნების გამოსატანად.

მეთოდები. გამოყენებული იქნება ძირითადად კომპარტივისტული, ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. გიორგი წერეთელს (1842-1900) მკვლევარები ახასიათებენ, როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, რომელშიც ჭარბობდა მისი ინტერესი საქართველოს ისტორიული წარულისადმი. როგორც მკვლევარი ანდრო ჭილაია შენიშნავს, „უნდა ვიცნობდეთ მისი შემოქმედების ერთ მხარესაც - ესაა გ. წერეთლის დამოკიდებულება საქართველოს დიდ წარსულთან, ამ დამოკიდებულების ხასიათის გამოსარკვევად საჭიროა ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ: 1. გ. წერეთელი, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, თეორეტიკოსი, კრიტიკოსი, ჩვენი დიდი მწერლობის დამფასებელია; 3. გ. წერეთლის ურთიერთობა ხალხურ სიტყვიერებასთან” (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2010: 148).

რამდენიმე გაზეთისა და ჟურნალის დამაარსებელი გიორგი წერეთელი ფაქტიური რედაქტორია მისი მეუღლის, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის, თაოსნობით გამოცემული სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთისა (გამოდიოდა ყოველ კვირა დღეს) „კვალი“ (1893), სწორედ „კვალის“ #5-ში იბეჭდება გ. წერეთლის წერილი „ბერიკაობა“. წერილში ავტორი ცდილობს ჯერ გამოყოს ბერიკაობის დღესასწაულის პერიოდი (ყველიერის გასულს), ხოლო შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს: „საგულისხმოა, რომ ამ ბერიკების თამაშს და ძველ კერპთაყვანისმცემლობას დროის ლიტანიობას, გაზაფხულის დღესასწაულებს შორის დიდი კავშირი იყოს” (კვალი, #5, 1893: 8), მაგრამ მთავარი ისაა, რომ გ. წერეთელს აღნიშნული საკითხის კვლევისას მოჰყავს პარალელი საბერძნეთში, ელევზინის (ელევსინის) ტყეში გამართულ სანახაობაზე, სადაც იყო დიონისესა და დემეტრეს ტაძრები. იგი ცდილობს აღწეროს ქართული ბერიკაობა, რომლის დროსაც 5 კაცი (ქალურად ჩაცმული კაცი, ცხოველისთავიანი მეორე მამაკაცი, თხის ჩლიქებზე შემდგარი და თხის ნიღბით შემკული, ხის ხანჯლებით მოთამაშე და საზანდრიანი კაცი, კიდევ

ადამიანი, რომელიც კალათაში კვერცხებს აგროვებს), კვერცხები გროვდება სხვადასხვა სახლებში ჩამოვლით და მას წინ უძღვის ლექსი. გ. წერეთელს მოჰყავს ეს ლექსიც:

„ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩავყავ კალათასა,
ერთი კვერცხი შიგ ჩადევი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა” (კვალი, #5, 1893: 8).

გ. წერეთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსაც ასახელებს, სადაც იცოდნენ ბერიკაობა: „ამ გვარად იციან ბერიკაობის წარმოდგენა ზემო იმერეთშიაც. აჭარაში ცოტა შეცვლით სცოდნიათ ბერიკაობის თამაში. იქ ეს თამაში უფრო მიემსგავსება ძველ ბერძნულ დიონისეს დღესასწაულის საიდუმლოებას” (კვალი, #5, 1893: 8).

წერილის ავტორი სწორედ აქ იხსენებს ბერძნულ დიონისეს დღესასწაულებსაც და გაზაფხულობით დემეტრას ქალიშვილის პერსეფონას მოტაცებასა და დატყვევებას, ხოლო შემდეგ გათავისუფლებას: „აი ეს დახსნა ბუნებისა გაზაფხულის პირზე სადღესასწაულო რამე იყო მთელი საბერძნეთის ერისათვის და ამის გამო წარმოსდგა ელევზინის დღესასწაულობა გაზაფხულზე და შემოდგომაზე” (კვალი, #5, 1893: 8-9). ამით გ. წერეთელი ცდილობს ახსნას ტრაგედიის წარმოშობა. დასაბუთებისათვის მოჰყავს ეტრურიის ჭურჭელზე გამოხატულ ტრაგედიის თამაშის პროცესი: „ამ ნახატებზე თამაშობენ ქალ-ვაჟნი, მესტირე მაგრამ ბერიკაობის დროს მარხვაა, ამიტომ, როგორც მკვლევარი ჯ. რუხაძე აღწერს, ბერიკების მსვლელობის დასასრულს მოედანზე კეტებითა და ხის ხმლებით ხელჩართული ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა. დამარცხებულ მხარეს კვერცხებს უმტკრევდნენ ან შეგროვილ სურსათს ართმევდნენ, ამბობდნენ, „მოსავლის დოვლათიც გამარჯვებულთა სოფლებში დატრიალდებაო” (რუხაძე, 1966: 9). სტვირ-ქამანჩას უკრავს და თხის მასკაში მორთული თხის ჩლიქებიანი, ესრეთ წოდებული სატირა, თან ჰყვება ქალ-ვაჟნი თამაშს და ჰსურს ისინი დაახლოვოს, შეაცდინოს და გარიოს მათს მომავალ ბედ-ილბაღში (კვალი, #5, 1893:10).

დასკვნის სახით კი გ. წერეთელი აღნიშნავს, „ამ სახით, როგორც ყოველი მკითხველი მიხვდება ამ დროის დრამას და კომედიას მამა-პაპათ ჰყოლია ბერიკობის თამაში, რომელსაც ელინები მისტერიებათ უწოდებენ” (კვალი, #5, 1893: 11).

წერილიდან მოჩანს ავტორის მოსაზრებას, რომ ქართული ბერიკაობა უძველეს ბერძნულ წარმართულ მისტერიასთანაა კავშირში.

სამაგიეროდ, გ. წერეთლის მეორე წერილში „ყენობა” (დაიბეჭდა „კვალის” #6, 1893) წარმოდგენილია როგორც ქართული სახალხო დღესასწაული: „ყოველ ერს, რომელიც დიდი ხნიდან გამოსვლია ისტორიულის ასპარეზზედ, შეუქმნია თავისებული წეს-წყობილება, ჩვეულება, ხასიათი. ზოგი ამ ჩვეულებათაგანი საზოგადო და შორეულის ნათესაობის მაჩვენებელი, ერის განკერძოებულს ისტორიულს და პოლიტიკურს ცხოვრება გამოხატავს მხოლოდ იმ ერთად ერთის ერის განსხვავებულს ისტორიულს სახეს. ამისთვის ეს განკერძოებული ჩვეულება ძალიან ძვირფასია არამცთუ თვით ერისათვის, არამედ ყოველის კაცისათვის, ვინც კი შედგომია იმ ერის წარსულისა და აწმყოს ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას. ეს განკერძოებული ჩვეულება სარკესავით წარმოგვიდგენს თვით ერის ვინაობასაც.

საქართველოში ყენობა სწორედ ასეთ გვარს ჩვეულებას ეკუთვნის, ვერც ერთი მეცნიერი, რომელსაც საქართველოს ისტორიის შესწავლა და გამოკვლევა ჰსურს, გვერდს ვერ აუვლის ასეთ ჩვეულებას.

საკვირველია, რომ არც ერთს ისტორიულს ერში არ არის ყენობის მსგავსი თამაში, ჩვეულებად გადაქცეული. ეს მხოლოდ საქართველოს ერის წარსულზეა აღმოცენებული, მისი წარსულის ჭირის და ლხინის მომგონებელია, მისი გაველილის ისტორიულის ბრძოლის სურათია. თვით ყენობით იხატება, თუ რა გაჭირვება გამოუვლია საქართველოს

ერს, ან რა ზნეობრივი თვისებებით და ქველმოქმედებით დაგვირგვინებულა მისი ისტორიული სვე-ბედი” (კვალი, #6, 1893: 8).

სწორედ ამ სულისკვეთებით ცდილობს აღწეროს ყეენობა და მისი ზეიმის დამდეგს უძღვნის კიდეც წერილს. ამიტომ გ. წერეთელს მოჰყავს დ. ბებუთაშვილის მიერ აღწერილი ტფილისში 1817-1827 წლებში ყეენობის დღესასწაული. ყეენობა თბილისში (1817-1827) აღწერილია დ. ჯანელიძის 1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები”, თუმცა ინფორმაციის ავტორის (დ. ბებუთაშვილის) და გიორგი წერეთელის წერილის გარეშე (გვ. 282-283).

ერთ ყეენობას, ეტყობა, თვითონაც შეესწრო წერილის ავტორი: „1852 წელს მე თვითონ მახსოვს, რომ ქუთაისში მოხდა საგანგებო ყეენობა. მთელი ქალაქი ორად გაყოფილი, ებრძოდა ერთმანეთს სამი დღე. ბევრი დაშავდა კრივში, ასეთ დროს გატარებას დიდ ორშაბათობით ვერავინ ვერ უკრძალავდა ქართველებს. ამ თავის საყვარელი ჩვეულებით ყოველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოხატავდა თვალწინ წარსულს ისტორიისთვის სურათს, რაში მდგომარეობდა ეს სურათი? იმაში, რომ საქართველოს ერი ვერცერთი უცხო სჯულის ხალხს ხანგრძლივად ვერ დაუპყრია. ხშირად შემოსულად ძველ დროში სხვა-და-სხვა ქვეყნის ყეენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც საქართველოს ერი ამდგარა საბრძოლვეად და განთავისუფლებულა მტარვალისგან. აი ნამდვილი შინაარსი ყეენობის თამაშობისა” (კვალი, #6, 1893: 10).

გ. წერეთელი ცდილობს დაასაბუთოს რომ ყეენობა მურვან-ყრუს დროიდან უნდა იყოს, როდესაც მტერი შემოესია საქართველოს ორასი ათასი კაცით „გადავლო ლიხის მთა და ააოხრა არგვეთი” ბანძის ველზე დაბანაკებული მურვან-ყრუ ცხენის წყალსა და აბაშის შორის იყო. უამინდობამ აადიდა მდინარეები, წალეკა ბანაკი და ცხენოსანი ჯარი დაახრჩო. აქვე გ. წერეთელი ცდილობს არ დაემყაროს მხოლოდ ზეპირ-გადმოცემას და იხსენებს სტრაბონს, რომელსაც ხშირად მოჰყავს სიტყვა „ჰიპპუს”, რაც ქართულად „ცხენის წყლად” ითარგმნებაო. და ბოლოს ავტორი კვლავ იმეორებს: „...ყეენობის თამაში ნამდვილი ქართული წარმოდგენაა ერისგან შეთხზული და ეროვნულის გრძნობაზე და გამოხატულებაზე არის დამყარებული. მისი შინაარსი მთელს საქართველოს ისტორიას შეიცავს. ესე იგი ბრძოლის გარეშე მტერთან და ქვეყნის მტარვალეებთან, რომელთაც ნიადაგ სდომებიათ ამ ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ ხანგრძლივად ვერავის ვერ შესძლებია საქართველოს ხელში ჩაგდება. ადრე თუ გვიან მოსულა დრო და ერს „განუხეთქია აპეურნი მათნი და განუგდია უღელი მათი” (კვალი, #6, 1893:10) (ხაზი ჩვენია - ქ.ბ., თ.გ.).

გ. წერეთელი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ დღესასწაულის აკრძალვა ვერავის გაუბედავს თვით ბარიატინსკის დრომდე. სწორედ ზემოთ აღნიშნულის შევიწროვებაზე მიგვანიშნებს უცნობი კორესპონდენტის წერილი „ყეენობის კუდი”. წერილში იგი გ. წერეთელსაც იხსენიებს, მაგრამ გულისტკივილით აღნიშნავს: „ეს ჩვეულება „ყეენობის კუდი” რამოდენიმე ხანია აკრძალულია და ტფილისი ჩვეულებრივად მყუდროებას ვეღარ არღვევს!...ყეენობა გადავარდნილია, მაგრამ ჯერ კიდევ „ყეენობის კუდი” არ მოშლილა: რას წარმოადგენს ეს „ყეენობის კუდი”? შესანიშნავს არაფერს! (კვალი, #6, 1894: 8).

უცნობი კორესპონდენტი აღწერდა „ყეენობის კუდს” ახალი წესით, როცა იკრიბებოდნენ ქალაქელი ვაჭრები ორთაჭალაში გამართავდნენ ლხინს სამარხვო საქმელებით, შემდეგ შეზარხოშებულნი ააგროვებდნენ ფულს და ამ ფულით მზითევს უკეთებდნენ ღარიბ გასათხოვარ ქალიშვილს.

კორესპონდენტი წუხილით აღნიშნავს, რომ ახლა დიდვაჭრები და სოვდაგრები აღარ ესწრებოდნენ „ყეენობის კუდზე”, მაგრამ, სამაგიეროდ, ბანკის წარმომადგენლებმა, მეტყავეებმა და წვრილმა ვაჭრებმა მოისურვეს დასწრება...ამის ფოტოც გადაუღიათ.

უცნობი კორესპონდენტის წერილი გვამცნობს, რომ „ყეენობა” საბოლოოდ შეჩერდა, დარჩა მხოლოდ „ყეენობის კუდი” და ისიც მონაწილეთა შეცვლილი სახეებით.

ვფიქრობთ, რომ XIX საუკუნის დასასრულს „ყეენობა“ მართლაც უკვე გადავარდნილი იყო. იოსებ გრიშაშვილის ცნობით, „უკანასკნელი ყეენობა მოწყობილ იქნა ჩვენი თანამედროვე პოეტის გრიგოლ აბაშიძის უშუალო მონაწილეობით“ (გრიშაშვილი, 1927: 26).

ი. გრიშაშვილის ნააზრევი შევიდა მის წიგნში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ 1927 წელს და მასში კვლავ გაიჟღერა ყეენობის, როგორც ქართველი ხალხის ისტორიული ტკივილების ამსახველი სახალხო სანახაობის თემა: „ყეენობა თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. ბევრი შეიძლება მაშინაც ამ მისტიფიკაციაში მხოლოდ მოცლილი ხალხის გათამაშებას ხედავდა, ბევრისთვის კი იგი იქნება ალეგორიული გამოხატულება იყო იმ საიდუმლო გულის ზრახვებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ განსაკუთრებით საქართველოს იმ დროინდელ მოწინავე საზოგადოებაში. ის ინტერესი, რომელსაც ყეენობისადმი იჩენდა მაშინდელი გვარიშვილობა, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ყეენობა“ სურდათ პატრიოტული პროპაგანდის ალეგორიულ საშუალებად გამოეხატათ ისევე, როგორც ჩვენი ისტორიული? გმირულ დრამებში ხდებოდა პატრიოტული პროგრამა ერთ-ერთ ფორმად, ყეენი იქ შეიძლება იმ დროინდელი მთავრობის კარიკატურულ გამოსახულებადც გადაქცეულიყო. მთავრობას, აჯანყების გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაკიმასხრული ყეენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა, და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აკრძალა (გრიშაშვილი, 1927: 25-26). სწორედ ეს პროცესი ჯერ კიდევ 1888 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღმოჩნდა - მიგვანიშნებს ი. გრიშაშვილი, - როცა ზოგი უზნის ყეენი სამსახურიდან გამოგდებულ „პიანიცა კაპიტნების“ მუნდირში იყვნენ ჩაცმულნი...

ი. გრიშაშვილი აქვე იმოწმებს გ. წერეთლის წერილსაც, და იზიარებს მის თვალსაზრისს, მაგრამ მიანიშნებს, რომ „იგი უფრო ისეთივე გამოხატულება უნდა იყოს საერთო ხალხოსნური მასიური ლხენისა, რანაირადაც კარნავალების და გასართობების სახით სხვაგვანადაც გვხვდება (ხაზი ჩვენი - ქ.ბ., თ.გ.).

„ქართველ ხალხს ისტორიული ტკივილები დაუწყუჭდა და იმანაც გუშინდელნი კაეშანი გასართობ სანახაობად გადაქცია“ (გრიშაშვილი, 1927: 28). ი. გრიშაშვილის ნააზრევს თან ახლავს ღრმა გულისტკივილიც ამ ხალხში სანახაობის გადავარდნის გამოც. ამიტომ მისცა თავს უფლება „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემის“ დასაწყისშივე გაეხსენებინა ძველი სანახაობანი.

დასკვნა. გ. წერეთლის, უცნობი კორესპონდენტის, ი. გრიშაშვილის წერილების მიმოხილვამ გვიჩვენა:

1. გ. წერეთელი ბერიკაობას ბერძნული დიონისეს, დემეტრასა და პერსეფონისადმი მიძღვნილ საგაზაფხული დღესასწაულებიდან მომდინარედ მიიჩნევს.
2. გ. წერეთლის წერილებით „ყეენობა“ ჭეშმარიტად ქართული სანახაობაა, რომელიც ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, უნდა უკავშირდებოდეს მურვან-ყრუს საქართველოში შემოჭრის ამბავს.
3. უცნობი კორესპონდენტის აზრით, „ყეენობა“ XIX საუკუნის დასასრულისათვის უნდა გადავარდნილიყო და შემორჩენილია მხოლოდ „ყეენობის კუდი“, ისიც სახეცვლილი ფორმით.
4. ი. გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ დასაწყისშივე გულისტკივილით აღნიშნავს „ყეენობის“ გადავარდნას, იკვლევს ამის მიზეზებს, მაგრამ „ყეენობას“ თვლის ხალხურ სანახაობად, რომელიც სხვაგანაც შეიძლება შეგვხვდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. (2010). II. თბილისი.
- გრიშაშვილი, ი. (1927). ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბილისი: სახელგამი.
- კვალი. (1893). #5.
- კვალი. (1893). #6.
- კვალი. (1894). #20.
- რუხაძე, ჯ. (1966). ქართული ხალხური დღესასწაული. თბილისი: გამომცემლობა „თბილისი“.
- რუხაძე, ჯ. (1999). „ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული საქართველოში“. თბილისი.
- ქურდოვანიძე, თ. (2012). ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯანელიძე, დ. (1948). ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბილისი: გამომცემლობა სახელგამი.

REFERENCES

- akhali kartuli lit'erat'uris ist'oria [History of New Georgian Literature]*. (2010). II. Tbilisi.
- grishashvili, i. (1927). dzveli tbilisis lit'erat'uruli bohema [The Literary Bohemia of Old Tbilisi]*. Tbilisi: State Publishing.
- k'vali [Kvali]*. (1893). #5.
- k'vali [Kvali]*. (1893). #6.
- k'vali [Kvali]*. (1894). #20.
- rukhadze, j. (1966). kartuli khalkhuri dghesasts'auli [Georgian Folk Festivity]*. Tbilisi: Publishing House „Tbilisi“.
- kurdovanidze, t. (2012). kartuli khalkhuri sit'qviereba [Georgian Folk Saying]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- janelidze, d. (1948). kartuli teat'ris khalkhuri sats'qisebi [The Folk Beginnings of the Georgian Theatre]*. Tbilisi: State Publishing.